



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ავშანი

ავშანი (*Artemisia*), მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბუჩქ-ბალახოვანი მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. ა-ის 500-მდე სახეობიდან, რ-იც გავრცელებულია ევრაზიაში, აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში, საქართველოში იზრდება 12. უმრავლესობა გვალვამდეა. აქვს სწორი ღერო, ღრმა ფესვები, დანაკვეთილი, უმეტესად ლეგა ფოთლები, პატარა კალათები, რ-ებიც რთულ საგველანაირ ყვავილედს ქმნის. ა-ის ზოგიერთი სახეობა (მაგ., აბზინდა – *A. absinthium*) შეიცავს ეთეროვან ზეთებსა და გლიკოზიდებს, რ-ებიც მედიცინაში იხმარება, ზოგიერთი (ა. – *A. fragrans*) აღმ. საქართველებსა და ნახევრად უდაბნოებშია გავრცელებული და ცხვრის ზამთრის საძოვრებს ქმნის. არის აგრეთვე დეკორ. სახეობები (გიეში – *A. caucasica*) და სარეველები (უკანგარი – *A. annua*, მამულა – *A. vulgaris*, სამწვანე – *A. scoparia* და სხვ.). ა-ის ზოგი სახეობა უდაბნოებში მოძრავ ქვიშებს ამაგრებს.

შ. ნახუცრიშვილი
